ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4559828

ნომერი: AR1675588

თარიღი : 16.04.2019

გაცემის თარიღი : 25.06.2019

გაცნობის თარიღი : 26.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე ხოფერია პ/ნ 01017042813
- თბილისი ა.ფურცელაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1675588 განცხადებაზე № 4503501 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

1. “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ -საქმიან ზონა 1 (სსზ-1), სადაც „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების დანართის მიხედვით, თქვენს მიერ მითითებული ფუნქცია ავტოსამრეცხაო არ შედის დასაშვებ სახეობათა ნუსხაში, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ავტოსამრეცხაოზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ამდენად ავტოსამრეცხაოს ბოქსების მოთხოვნა ამოღებულ იქნას მოთხოვნის ტექსტიდან და ესკიზური გენგეგმიდან. რაც შეეხება არსებული 01/1, 02/1, 07/1-ის რეკონსტრუქციას, სამსახური გასცემს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს.

2. ვინაიდან წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით ირკვევა, რომ რეკონსტრუქციით იჭრება არსებული ხე-ნარგავები, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსაახურის თანხმობა.

3. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" - შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაური"-ს წერილი ზოგადი სახისაა, უნდა წარმოადგინოთ ცალსახა თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე

გაითვალისწინეთ, რომ ამ ჯერზე თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.